



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2015 წლის 26 ნოემბერი

№ 112/04

თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის გამოყენების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის, 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის რეალურ რეჟიმში ჩართვის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს:

- ა) „სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემის სახელმძღვანელო“ (დანართი N1);
- ბ) „სებსტატი: გზამკვლევი კომერციული ბანკებისათვის“ (დანართი N2).


მუხლი 2. კომერციულ ბანკებს დაევალოთ „სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემის სახელმძღვანელო“ მოთხოვნების დაცვა და მისი საანგარიშგებო პრაქტიკაში დანერგვა.

მუხლი 3. 2015 წლის ნოემბრის თვის ანგარიშგებიდან დაწყებული კომერციულმა ბანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების წარმოდგენა განახორციელონ სებსტატის მოთხოვნების და მოცულობის შესაბამისად, სახელმძღვანელოთი და გზამკვლევით დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით, სებსტატის ვებ-გვერდის (<http://webservices.nbg.gov.ge/SebstatUploader/>) მეშვეობით.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 17 ივლისის N184 ბრძანება.

მუხლი 5. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების მიერ საბანკო სისტემაში ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების წარმოების და აღნიშნული ანგარიშგებების საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდების შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობით.

მუხლი 6. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 27 ნოემბრიდან.



გ. ქადაგიძე